პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 ოქტომბერი, შაბათი, 1989 წ.
№ 202 (10 121) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ბატონო რედაქტორო!

**ამა** წლის 18 ოქტომბერს „ლელოში" გამოქვეყნდა სეოკ-ის დამფუძნებელ კრებაზე წარმოთქმული ჩემი სიტყვის თითქოსდა სტენოგრაფიული ჩანაწერი. ამ სხდომას თქვენ თავმჯდომარეობდით და, იმედი მაქვს, დამიდასტურებთ — ამდაგვარი, მეტი რომ არა ვთქვათ, უცნაურობანი მე იქ არ მითქვამს. ეჭვიც არ მეპარება, რედაქციას მხოლოდ კეთილი სურვილები და ჩემდამი პატივისცემა ამოძრავებდა, ჩემს გამოსვლას რომ ბეჭდავდა, მაგრამ გამოვიდა კი — პირიქით. წარმოთქმული სიტყვა, ეგების, არც ღირდა გამოსაქვეყნებლად (ყოველ შემთხვევაში, მე არცა მქონია ამის პრეტენზია), მაგრამ, რამდენადაც იგი ესოდენ სახეცვლილად დაიბეჭდა, გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ჩემი მაშინდელი გამოსვლის ზუსტი ტექსტი.

პატივისცემით —
**თამაზ კვაჭანტირაძე.**

**რედაქციისაგან:** სამწუხაროდ, რუსთაველის საზოგადოების თანაპრეზიდენტის ბატონ თამაზ კვაჭანტირაძის გამოსვლის სტენოგრაფიული ჩანაწერი მართლაც დიდად ხარვეზიანი აღმოჩნდა და ბოდიში უნდა მოვუხადოთ როგორც ავტორს, ასევე მკითხველებსაც, ქვემოთ გთავაზობთ თამაზ კვაჭანტირაძის გამოსვლის ზუსტად აღდგენილ ტექსტს.

## ქალბატონებო და ბატონებო!

**სიჯანსაღე,** ასე მგონია, თავისუფლებაც არის... და — პირუკუ: თავისუფლება სიჯანსაღეც გახლავთ... მოკლედ, ერთი მეორესა გულისხმობს. ჯანმრთელობას დაკარგავ და — სულ ერთია, კერძო კაცი იქნები თუ მთელი ერი — თავისუფლებაც გეზღუდება. მეორე მხრივ, თავისუფლების წაგვრა უცილობლად იწვევს ჯანმრთელობის შერყევას, დაავადებას. ამიტომაც უნდა ჩაითვალოს თავისუფლების წამგვრელი ერი სნებოვანების გამავრცელებლად. ჩვენ, ქართველებს, გვაკლდა თავისუფლება, ესე იგი, გვკლებია სიჯანსაღეც. მხოლოდ ამ აზრით შეიძლება ჩვენს დაავადებაზე ლაპარაკი და არა იმ უკუღმართული გაგებით, რის დამკვიდრებასაც რასპუტინ-ასტაფიევი და „ძმანი მათნი" ლამობენ; ეს იმასა ჰგავს, კეთროვანმა ჯერ კეთრი შეგყაროს და მერე გიჩივლოს, კეთრი რატომა გაქვსო.

მომხსენებელმა თავის შთამბეჭდავ სიტყვაში მრავალი ფაქტი და ციფრობრივი მონაცემი მოიყვანა ჩვენი ერის სპორტულობის დამადასტურებლად. აღმოჩნდა, რომ ერთ სულ მოსახლეზე ოლიმპიური ჩემპიონების რაოდენობით ჩვენ, ვგონებ, ამერიკის შეერთებულ შტატებსაც კი ვუსწრებთ... ამგვარმა სტატისტიკამ მეც გამახარა, მაგრამ... არ მინდოდა ერთგვარი დისონანსი შემეტანა ამ ზეაწეულ განწყობილებაში, მაგრამ მაინც ვიტყვი — ციფრები და სტატისტიკა ყოველთვის როდია ხრსის წარმომჩენი. სტატისტიკას რომ გავყვეთ, ერთ სულ მოსახლეზე ჩვენ, ქართველებმა, ექიმების რაოდენობითაც უკვე კარგა ხანია უკან მოვიტოვეთ ამერიკაცა და საფრანგეთიც, ჩვენს ავადმყოფებს კი — ამერიკას სად შევწვდებით და — ლამის გლანდების ამოსაკვეთადაც მოსკოვს მივარბენინებთ. მეც ვგრძნობ, რომ ეს ანალოგია მთლად კორექტული ვერ გამომივიდა, მაგრამ ამით მხოლოდ ერთი რამის თქმა მინდოდა: ვაითუ დიდი სპორტის მიღწევებმა და ოლიმპიური მედლების ელვარებამ თვალი ისე მოგვჭრას, რომ ვერ დავინახოთ მთლიანად ერის სიჯანსაღის, მისი ჯანმრთელობის მრავალი უმძიმესი და გადაუჭრელი პრობლემა. განა ოდნავ მაინც დამაკმაყოფილებელია ჩვენი ბავშვების, ახალგაზრდების ან თუნდაც „ძველგაზრდების" ფიზიკური მზადყოფნა? ეს დონდლო, ქონმოდებული ან გათრიაქებული ხალხი ვაპირებთ საქართველოს განთავისუფლებას?

არადა, ჩვენ მართლაც ვართ სპორტული ერი, რამდენადაც, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ფეთქავს ჩვენში ძველი მეომარი ტომის გენი; ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი შერკინების, შეტოქების, შეჯიბრის, ჭიდილის ჟინი. და, რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ჩვენი სპორტულობა ჩემი აზრით, ჩვენი დემოკრატიული ბუნებიდანაც გამომდინარეობს: ჩვენ, ქართველებს, უთანასწორო ომებში რომ გაცვდით, გვიზიდავს სპორტული არენა, ის ასპარეზი, რომელიც მოდელია სისხლსავსე ცხოვრებისა, მაგრამ — გაუმჯობესებული მოდელი: აქ დემოკრატული თანასწორობის სული ტრიალებს, სპორტულ ასპარეზზე ორნი ერთს არ ებრძვიან, მძიმე მჩატეს არ ერკინება, აქ არ არსებობს პატრონი და ყმა... ვეფხისტყაოსანი გავიხსენოთ, სადაც თამამი მოყმე ავთანდილი სასპარეზოდ იწვევს თავის პატრონს მეფე როსტევანს:

> „მიწაცა თქვენი ავთანდილ
> თქვენს წინა მშვილდოსანია,
> ნაძლევი დავდვათ, მოვახსნეთ
> მოწმედ თქვენნივე ყმანია.
> მოასპარეზედ ვინ მგავსო? —
> ცუდნიღა უკუთქმანია,
> გარდამწყვედელი მისიცა
> ბურთი და მოედანია".

და, ცხადია, ისიც გახსოვთ, რომ სპორტულ ასპარეზზე სამეფო ჯილამ ვერ უშველა როსტევანს, შეჯიბრის ბედი თვალმა და მკლავმა გადაწყვიტა. ამ თანასწორობისა და სამართლიანობისთვისაც გვიყვარს და გვიზიდავს ქართველებს სპორტი.

ოლიმპიური დამოუკიდებლობა ერთი შემადგენელი ნაწილია საერთო პოლიტიკური დამოუკიდებლობისა. ამავე დროს სპორტული სუვერენიტეტი დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი ერის გაჯანსაღებას. აკი თავშივე მოგახსენეთ, თავისუფლება სიჯანსაღეც არის-მეთქი. ზოგი ასე ფიქრობს, ჯერ გავთავისუფლდეთ და მერე გავჯანსაღდებითო... არადა, განსათავისუფლებლად სწორედ სიჯანსაღეა საჭირო. ჩვენი ერის გაჯანსაღება-გათავისუფლების წმინდა საქმეს უნდა ემსახუროს ახლადდაფუძნებული საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

ცრემლი მარტო უბედურებამ როდი იცის... გვინახავს ბედნიერების ცრემლიც ოლიმპიურ ჩემპიონთა თვალზე, როდესაც ისინი თავიანთი გამარჯვების აღსანიშნავად ეროვნული დროშის აღმართვას უყურებენ. მჯერა, ჩვენს თვალზეც აკიაფდება ამგვარი ცრემლი, როცა ოლიმპიურ ცაში გამარჯვების მაცნედ საქართველოს ეროვნული დროშა აიჭრება.

## ექვსი დღე „კრილატსკზე"

**ადრე** ამ საკავშირო ექვსდღიან შეჯიბრებას თბილისის ცენტრალური ველოტრეკი მასპინძლობდა. ახლა კი იგი მოსკოვის ოლიმპიურ სარბიელზე — „კრილატსკზე" იმართება. წლევანდელი ასპარეზობის ფინალი საქართველოს წარმომადგენლების, კერძოდ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სპორტსმენთა წარმატებით აღინიშნა. ვასილი დავიდენკოსა და გარი კებბას მხარდამხარ დასკვნით სტარტებში გამოდიოდა თბილისელი მამუკა ყურაშვილიც. გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრების წევრმა დავიდენკომ.



ვახილ დავიდენკო

ქალთა ასპარეზობის ძირითად ფინალშიც მისმა თანაგუნდელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა სტელა პრიახინამ გამოიჩინა თავი და იგი მხოლოდ ქულით ჩამორჩა მეორე ადგილზე გასულ უკრაინელ გალინა დომინას და საპატიო მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

გამარჯვება კი წილად ხვდა მოსკოველ ზინაიდა სტაგურსკაიას. პრიახინას ბადალი არ ჰყავდა 3 კილომეტრიან რბოლაში, სადაც გაიმარჯვა მაღალი შედეგით — 3.51,5.

იქვე გამართულ 17-16 წლიან გოგონათა ასპარეზობაში მწვრთნელთა ყურადღება მიიქციეს საქართველოს პროფკავშირთა სკოლის აღსაზრდელებმა ნატალია სამბაშიძემ და ინეტა კირიანოვამ, რომლებიც სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში ჩარიცხეს. საგულისხმო ისაა, რომ ორივე გოგონა 1974 წელსაა დაბადებული.



სტელა პრიახინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### დაჯილდოება

**ჭადრაკში** 20 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიოს 1989 წლის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებისთვის საერთაშორისო ოსტატი ქეთევან კახიანი და მისი მწვრთნელი საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი დაჯილდოვდნენ საქართველოს სპორტსახკომის საპატიო სიგელებით.

### გუშინ...

**კიევში გრძელდება წყალბურთელთა საკავშირო პირველობის მატჩები, რომელშიც გამოდიან V-VIII ადგილების მაძიებელი გუნდები. გუშინ თბილისის „დინამომ" ფრედ — 8:8 დაამთავრა შეხვედრა მოსკოვის „ტორპედოსთან".**

## მოსკოველი თბილისელთა გუნდში

**თანამედროვე** ხუთჭიდელებმა ამოწურეს წლევანდელი საერთაშორისო შეჯიბრების კალენდარი. საქართველოს სპორტსმენებს არც ამ სეზონში გაუწბილებიათ გულშემატკივრები. მათთვის ამ წლის ბოლო სპორტული ასპარეზობა იყო ბერლინის საერთაშორისო ტურნირი. ამ შეჯიბრებაზე სსრ კავშირიდან მთლიანად საქართველოს ხუთჭიდელებით დაკომპლექტებული გუნდი უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ ბოლო მომენტში ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელებმა იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ო. ლოხიშვილის მომზადება ნაკრებთან არ შეწყვიტეს და მის ნაცვლად ჩვენს გუნდს მოსკოველი ნ. სტაროსტინი დაემატა. მან გაიმარჯვა კიდეც ტურნირში ვ. იაგორაშვილი მეორე ადგილზე გავიდა, მასთან ერთად ბერლინში გამოდიოდა თბილისელი ვ. მალიშევი.

## საქართველოს რაგბის გუნდების საყურადღებოდ!

**როგორც** საქართველოს რაგბის კავშირიდან გვაცნობეს, 21-22 ოქტომბრისთვის დანიშნული „საშემოდგომო შვიდკაცა" ქუთაისის „აიასა" და თბილისის „ელმავალის" თხოვნით გადატანილია 18-19 ნოემბრისთვის. შეჯიბრება კვლავ „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება დებულებით გათვალისწინებული განრიგის მიხედვით.

კვირას, 22 ოქტომბერს, „საშემოდგომო შვიდკაცას" ნაცვლად ვარკეთილის სტადიონზე გაიმართება თბილისის გუნდების ამხანაგური საშვიდკაცო შეჯიბრება. დასაწყისი 12 საათზე.

საქართველოს დელეგაცია ლონდონს გაემგზავრება.

ახლახანს საქართველოს რაგბის კავშირმა რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) მდივნის ქის როულენდზისაგან მიიღო ოფიციალური მიწვევა, რომ ირბ-ის წევრთა კონგრესზე მეთვალყურეებად ჰყავდეს ორი წარმომადგენელი. კონგრესი ლონდონის მახლობლად, სარეის საგრაფოს ქალაქ ვეიბრიჯში, „ოუთლენდ ფარქ ჰოუთელში" გაიმართება 22-24 ნოემბერს და მსოფლიოში სამოყვარულო რაგბის განვითარების ხუთწლიან გეგმას განიხილავს. საქართველოს რაგბის კავშირის დელეგატები — პრეზიდენტი ალექსი გოცირიძე და მდივანი დავით კილასონია საქართველოს მშვიდობის ფონდის შემწეობით მიემგზავრებიან ინგლისს, რათა ირბ-ის საპოლიტიკო კომიტეტის წევრებს შეხვდნენ, გააცნონ მათ ქართული რაგბი და საქართველო საბჭოს მოკავშირე წევრად მიაღებინონ ირბ-ის საშუალედო სხდომაზე, რომელიც იქვე, 26-29 ნოემბერს შედგება და განიხილავს საქართველოს განაცხადს. გარდა ამისა, საქართველოს წარგზავნილები 25 ნოემბერს ლონდონის გარეუბან თვიქენემში დაესწრებიან მსოფლიოს უძლიერესი გუნდის — ახალი ზელანდიის ეროვნული ნაკრებისა და „ბრიტანელი ბარბაროსების" საჩვენებელ თამაშს.

## ქართულ ენაზე მომუშავე მსაჯ-ინფორმატორთა საყურადღებოდ!

**ქართულ** ენაზე მსაჯ ინფორმატორთა მომზადება-გადამზადების სემინარი, რომელიც 9 სექტემბრისათვის იყო დანიშნული ფიზკულტურის ინსტიტუტში გადაიდო სწავლის გვიან დაწყების გამო. ამასობაში საჭიროება შეიქმნა ამ ღონისძიებამ მიიღოს უფრო ფართო მასშტაბი, საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა წამოაყენა მოკლევადიანი კურსების ჩატარების იდეა. ამჟამად, დღეისათვის მოთხოვნების, განსაკუთრებით ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის განუხრელად შესრულების გათვალისწინებით, გადაწყვეტის პროცესშია მოკლევადიანი კურსების ჩატარების ორგანიზაციული საკითხი, მუშავდება თემატური გეგმა და ლექტორთა შერჩევა. ამგვარ ღონისძიებას ხომ პირველად ვატარებთ.

შემოვდივარ წინადადებით

## ჩავატაროთ საქველმოქმედო თამაში

**ერთი** აზრი მომივიდა და ვჩქარობ, გაგიზიაროთ. ძალიან მინდა, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა, განსაკუთრებით ფეხბურთელებმა, თავიანთი წვლილი შეიტანონ სტიქიური უბედურებისგან დაზარალებული მთიანი აჭარისა და სვანეთის მოსახლეობის დახმარებაში.

შემოვდივარ წინადადებით, მოეწყოს თბილისის „დინამოს" 1964 და 1981 წლების შემადგენლობების საქველმოქმედო მატჩი ან მატჩები რესპუბლიკის მსხვილ რეგიონებში, შემოსული თანხა კი მთლიანად მოხმარდეს უსახლკაროდ დარჩენილი აჭარლებისა და სვანებისათვის მარნეულის რაიონში სახლების შეძენას.

**დავით კაპანაძე,**
ბორჯომი.

## კიდევ ხუთი მატჩი

**გაიმართა** კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

**რიგა.** ვეფ-მა მეორე მატჩიც მოუგო თბილისის „დინამოს" — 108:84 (53:35).

**ვილნიუსი.** კაუნასის „ჟალგირისმა" განმეორებით შეხვედრაში დაამარცხა „სტატიბა" 82:74 (40:21).

**ლენინგრადი.** ადგილობრივი „სპარტაკისა" და ალმა-ათის არმიელთა მატჩის შედეგია 76:85 (34:59).

**მინსკი.** რტი-სა და კიევის „ბუდიველნიკის" შეხვედრაში მეტოქეებმა ქულები გაიყვეს: 91:89 (50:52) და 82:84 (40:49).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 ოქტომბრისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 9 | 8 | 1 | 17 |
| „კალევი" (ტალ.) | 10 | 7 | 3 | 17 |
| „დინამო" (მ.) | 10 | 7 | 3 | 17 |
| ასკ (ალმა-ათა) | 10 | 7 | 3 | 17 |
| ვეფ (რიგა) | 10 | 7 | 3 | 17 |
| „ჟალგირ." (კაუნ.) | 10 | 5 | 5 | 15 |
| „ბუდივულ." (კ.) | 10 | 5 | 5 | 15 |
| რტი (მინსკი) | 10 | 4 | 6 | 14 |
| „შახტ." (დონ.) | 10 | 3 | 7 | 13 |
| „სპარტაკი" (ლენ.) | 10 | 3 | 7 | 13 |
| „სტატიბა" (ვილნ.) | 10 | 2 | 8 | 12 |
| „დინამო" (თბ.) | 9 | 1 | 8 | 10 |

საქართველოს მოსწავლეთა პირველობა მძლეოსნობაში

# სხვისი შვილები?..

**ჩვენი** მძლეოსნობის მდგომარეობა ამ საკითხით დაინტერესებულებს კარგად მოეხსენებათ. ოღონდ ვითარების გამოკვეთილად შეფასება მხოლოდ მოზრდილ სპორტსმენთა შორის შეიძლება, როდესაც ყველაფერი გარკვეულია. სამოსწავლო ასაკს კი აგრერიგად ზუსტად ვერ მიმოიხილავ. ისე კი მდგომარეობის ანალიზის მიახლოებითი პასუხი არც ძალიან კარგი, არც ძალიან ცუდი,— საშუალო, დამაკმაყოფილებელი იქნება.

ეს ისედაც ცხადი უნდა იყოს: საქართველოში მოსწავლე მძლეოსანთა უამრავი ჯგუფია და პირდაპირ შეუძლებელი ჩანს, რომ ამდენ ბავშვთა შორის არ იყვნენ საიმედო პერსპექტივის მქონე მძლეოსნები.

ესე იგი, მთავარი აღნიშნული კონტინგენტის მოვლა-პატრონობა და გონიერი წვრთნაა. სწორედ ეს არის ჩვენი მძლეოსნობის პრობლემათა უმთავრესი ქვაკუთხედიც.

იმის თქმა კი არ გვინდა, თითქოს მანამდე, ე. ი. სპორტსმენთა სელექციის პერიოდში ყველაფერი კარგად იყოს, არა, იქაც ბევრი რამ არის მოსაგვარებელი, მაგრამ, კიდევ ვიმეორებთ, ვინც გვყავს, იმათი კარგი მიხედვითაც კი ბევრი პრობლემა გადაიჭრებოდა.

ჩვენს მძლეოსანთა რესპუბლიკური ნაკრები თავისებურ თავკომბალას ჰგავს, იგი თითქმის მთლიანად თბილისელი სპორტსმენებისგან (ან იმათგან, ვინც მოგვიანებით გახდა თბილისელი) შედგება. მოსწავლეთა ასაკში კი სულ სხვაგვარად არის საქმე, რაც შეგვიძლია, ასე ვთქვათ, ცხელ-ცხელი მაგალითით დაგიდასტუროთ: ორიოდე დღის წინ თბილისში, „დინამოს“ სტადიონზე გამართულ მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაზე ყველაზე მეტად სწორედ რაიონების წარმომადგენლებმა გამოიჩინეს თავი.

ჰოდა, ასეთი რეზერვი შემდეგ თანდათან ხელიდან გვეცლება; ანებებენ ბავშვები მძლეოსნობას თავს, ანდა მშობლები აიძულებენ თავი დაანებონ, შეიძლება ისინი ვერც გაამტყუნო: ვის ესიამოვნება ისეთ ცუდ პირობებში ავარჯიშოს შვილები, როგორიც რაიონებში აქვთ მძლეოსნებს და საღამოს ჭუჭყიან, დაუბანელ პირმშოს შეეგებოს სახლში.

დავუშვათ და მძლეოსნობის ბაზებს თუ დახურულ დარბაზებს კერძო პატრონები რომ ჰყავდნენ, თავის თავს ვინ აკადრებდა ასეთი მოუვლელი მეურნეობა ჰქონოდა. სხვისი, ე. ი. სახელმწიფოსი კი იოლად ასატანია და რაიონის ხელმძღვანელები იოლად ხუჭავენ ამაზე თვალს. არადა, ისინი ბავშვების სავარჯიშო ბაზებია, იმათი სავარჯიშო გარემო, ვისზე ზრუნვაც ნომერ პირველ ამოცანად არის გამოცხადებული ხმამაღლა.

ცხოვრება გაძნელდა და ყოველმა ხელმძღვანელმა ათას საჭირბოროტო საქმეს უნდა მოაბას თავი, მაგრამ ბავშვების ჩაყენება რიგის ბოლოში არავითარი მიზეზით არ არის გამართლებული. მათი დახმარება არ ჯდება ისეთი ძვირი, როგორც შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს და საშუალების გამონახვა ყოველთვის შეიძლება.

იქნებ იმ გზით, როგორც გააკეთეს მაგალითად სამტრედიის რაიონში. იქაურ ნორჩ მძლეოსნებს დაუნიშნეს შეფი — ადგილობრივი ფაბრიკა. იგი ბავშვებისთვის ყიდულობს სპორტულ ფორმებს, აწესრიგებს ბაზას, უწყობს საწვრთნელ შეკრებებს... მოკლედ, გულისხმიერად პატრონობს. დახმარების ასეთი კონკრეტული ფორმა ძალზედ ეფექტური ჩანს (როცა ვინმეს შველაზე და მხარში ამოდგომაზეა საქმე, ალბათ ყოველთვის „ქუდით წრეში ჩამოვლა“ არ უნდა იყოს საჭირო, კონკრეტული ქველი საქმე უფრო სწრაფად კეთდება და ხელშესახები შედეგებიც მოაქვს).

ასეთი მზრუნველობა რომ იყოს ყველგან, ალბათ ახალგაზრდა სპეციალისტებიც აღარ დაიზარებდნენ მძლეოსნობაში მუშაობას, თორემ ახლა ისევ და ისევ ყველაფერი ძველი, ღვაწლმოსილი სპეციალისტების ჯერ კიდევ გაუტეხელ მონდომებაზე ჰკიდია: ქორა ერქომაიშვილი — ოზურგეთში, გივი თალაკვაძე — წყალტუბოში, ვლადიმერ ზანიერი — ხაშურში, გურამ უსმანაშვილი — ქარელში... სხვაგანაც არიან ასეთი ენთუზიასტები. რომ ნახოთ, რა პირობებში წვრთნიან ისინი მძლეოსნებს, მართლაც გაგაკვირვებთ მათი მოთმინება. შემცვლელები კი არსაიდან ჩანან, პერსპექტივა — პირდაპირ დამაღონებელია, ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს, მცირე გამონაკლისის გარდა, სტადიონზე ვერ გააკარებ.

ზემოხსენებულ შეჯიბრებაზე ერთ ყვარლელ კაცს, ვიქტორ ლეგაშვილს თავისი ორი შვილი მოეყვანა და მათ ასპარეზობას უცქეროდა. თვითონ ადრე მძლეოსანი ყოფილა და შვილებს... ჩემს ეზოში ვავარჯიშებო, გვითხრა. რაიონებში მარტო ფეხბურთმა არ უნდა იმეფოს, ეს იქაურ მოზარდთა ნიჭის (სპორტულ მონაცემებს ვგულისხმობ) გაუფასურებას იწვევს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მძლეოსნობაში ვარჯიში, გარკვეულ პერიოდში მაინც, ყველა ბავშვისთვის აუცილებელია. იგი ამით იქმნის ჯანმრთელობის მტიცე საფუძველს.

ჩვენ შეგვეძლო ზემოთ ნათქვამი ფაქტებითაც განგვემტკიცებინა, მაგრამ ზედმეტად მივიჩნიეთ: უყურადღებობას უჩივის რაიონებში მომუშავე თითქმის ყველა სპეციალისტი.

ზემოხსენებულ რესპუბლიურ პირველობაზე ნორჩ მძლეოსანთა საკმაოდ დიდმა ჯგუფმა იასპარეზა. საკმაოდ ბევრია მათ შორის კარგი მონაცემების მძლეოსანი, თუნდაც მინდია ქიქავა; ალექსანდრე ადამოვი, კახა ფუტკარაძე, ანა ღვინაძე, ეკა თევზაძე, ანდრეი ნაუმოვი და სხვები, მაგრამ მათ „ფინიშამდე“ — სპორტის მწვერვალამდე ჯერ კიდევ დიდი მანძილი აშორებთ, მანძილი, მოფენილი ათასი წინაღობით, რომელთა უმრავლესობა შეიძლება არც ყოფილიყო...

**გიორგი ჩოჩიშვილი.**

**გოგოები. 100 მ.** ანა ღვინაძე (განათლების სამინისტრო) — 13,0; **200 მ.** მარინა პახაპტურიდი (აჭარა) — 26,7; **400 და 800 მ.** ეკა თევზაძე (განათლების სამმართველო) — 59,6 და 2.20,4; **1500 და 3000 მ.** ინდირა გაზაევა (ცხინვალი) — 4.54,4 და 10.40,9.

**თარჯრბენი. 100 მ.** სვეტლანა ევდოკიმოვა (აჭარა) — 16,1; **400 მ.** ტატიანა [illegible] (რესპ. პროფ. სკოლა) — 1.11,7.

**სიგრძეზე ხტომა.** [illegible] — 506 სმ; **სიმაღლეზე ხტომა.** ნატალია ვერშინინა (ორივე — რესპ. პროფ. სკოლა) — 160 სმ;

**5 კმ სპორტული სიარული.** მარინე წიკლაური (გან. სამინისტრო) — 17.00,0.

**ბადრო.** დარეჯან გრიგალაშვილი — 34,76 მ; **ბირთვი.** ლაურა ოჩხიკიძე — 11,57 მ; **შუბი.** მაკა თიგიშვილი (ყველა — განათლების სამინისტრო) — 40,50 მ.

**ჭაბუკები. 100.** ალექსანდრე ადამოვი — 11,2; **200 მ.** ლეონიდ ხარაციდი — 23,2; **400 მ.** მინდია ქიქავა (ყველა — განათლების სამინისტრო) — 51,3; **800 და 1500 მ.** ანდრეი ნაუმოვი (რუსთავი)— 2.02,6 და 4.16,6;

**თარჯრბენი. 110 მ.** კახა ფუტკარაძე (განათლების სამინისტრო) — 15,9; **400 მ.** ართავაზ ნერსესიანი (ქუთაისი) — 1.02,4.

**10 კმ სპორტული სიარული.** ზაურ აფხაზაშვილი (განათლების სამინისტრო) — 51.05,9.

**ხტომა. სიგრძეზე.** კახა ნინუა — 6,57 მ; **სიმაღლეზე.** ალექსი ბედოიძე — 175 სმ; **სამხტომი.** სპარტაკ მეარაყიშვილი (ყველა — განათლების სამინისტრო) — 13,97 მ. **ჭოკი.** გრიგორი რაზუვაევი (რესპ. პროფ. სკოლა) — 4,00 მ.

**შუბი.** ალექსანდრე ხაბალოვი (ცხინვალი) — 46,16 მ; **ბირთვი.** როლანდ მემარნე — 13,81 მ. **ბადრო.** მიხეილ ტემჩინი (ორივე განათლების სამინისტრო) — 46,22 მ.

**შენიშვნა.** განათლების სამინისტროსა და სამმართველოს გუნდები იყო ერთიანი „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენლებთან ერთად.

# ...12 წლის შემდეგ

**ხარკოვში** დამთავრდა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს ქალთა პირველობა 100-უჯრედიან შაშში.

ასპარეზობაზე წარმატებას მიაღწია ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა, თბილისის 23-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ, 13 წლის მადონა შალამბერიძემ (მწვრთნელი თენგიზ რეხვიაშვილი), რომელმაც 5,5 ქულით IV-XI ადგილები გაიყო და სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა. აღსანიშნავია, რომ ამ სახეობაში ქალთა შორის ოსტატი. ჩვენს რესპუბლიკას 12 წელია არ ჰყოლია (მაია მოსიძის შემდეგ). ამჟამად მ. შალამბერიძე მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა ოსტატია.



სხვათა შორის, მასვე მიენიჭა სპეციალური პრიზი გოგონათა შორის საუკეთესო შედეგისთვის.

• • •

**სურათზე: მადონა შალამბერიძე.**

**მ. ყიგნაძის ფოტო.**

# მხატვრე ქარქუსაშვილის პრიზზე

**ჭიდაობა ჩვენი, ქართული**

**ნახევრხმოყრილ წრეში ჯერ უმცროსებმა გამოსცადეს მკლავის ძალა, შემდეგ ახლად წვერშეღინღლულებმა და უფროსებმა მოირგეს საჭიდაო ჩოხები. „საჭიდაო“ კიდევ უფრო მეტ ცეცხლს უკიდებს ისედაც წკიპზე შემდგარ ბიჭებს. მსაჯთა მაგიდის ფეხზე გამობმული მთავარი პრიზი — ყოჩი თავის პატრონს ელოდება...**



თემქის დასახლების მესამე მიკრორაიონში მდებარე ცნობილი ფალავნის კულა იანვარაშვილის სახელობის სპორტულ მოედანზე 20 წლის წინათ უდროოდ გარდაცვლილი სახელოვანი მოჭიდავის, ესტატე ქარქუსაშვილის პრიზი თამაშდებოდა. პირველობისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ წილკნელი, წეროვნელი (მცხეთის რაიონი) და თბილისელი მოჭიდავეები.

ჩვენი ჭიდაობის დიდი მოამაგე, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ქრისტოფორე ნინიაშვილი „ანტრაქტებში“ თავისი მეგობრის ესტატე ქარქუსაშვილის შესახებ მიამბობს.

— ჭიდაობის ნიჭი ესტატეს, როგორც ჩანს, პირდაპირ დაბადებიდან დაჰყვა. ხანშიშესულ მის თანასოფლელებს ხშირად გაუხსენებიათ — ბიჭობაში ისეთი მარჯვე და ხერხიანი იყო, მასზე გაცილებით უფროსებსაც ერეოდაო. მოგვიანებით, როდესაც ესტატე თბილისში გადავიდა საცხოვრებლად, მის წვრთნას ხელი მოჰკიდა ვახტანგ კუხიანიძემ. მაშინ ესტატე 28 წლის იყო. ხშირად გამოდიოდა თბილისის ცირკში და ბეჭდაუდებელი ფალავანის სახელი მოიპოვა.

თავიდან იგი მხოლოდ ქართულს ჭიდაობდა. ბაქოში „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა უნდა გამართულიყო სამბისტთა შორის. მწვრთნელებმა სთხოვეს ესტატეს — შეჯიბრებაში უნდა გამოხვიდეო. ესტატეს ჭიდაობაზე რა თხოვნა უნდოდა, მაგრამ სამბო არასოდეს ეჭიდავა. მიუხედავად ამისა, მთხოვნელებს უარი ვერ უთხრა. იქნებ არც დაიჯეროთ, ბაქოში მიმავალ მატარებელში ასწავლეს სამბოს ილეთები და წესები. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ესტატე აზერბაიჯანის დედაქალაქიდან ოქროს მედლით მკერდდამშვენებული დაბრუნდა.

თითქოს გუშინ იყო, ისე მახსოვს: 1949 წელს ლენინგრადში „დინამოს“ საკავშირო პირველობა გაიმართა. უფროსი მწვრთნელი ილია თომაშვილი იყო. მე გუნდს მეორე მწვრთნელად ვახლდი. ესტატემ ყველა მოწინააღმდეგე დაამარცხა. ფინალში ერთ-ერთ გამოჩენილ მოჭიდავეს სერგეი ბრობჩექევსკის შეხვდა. შუა შეხვედრის დროს სერგეიმ დანებების ნიშნად ხელები ასწია და გაოცებულ ესტატეს გამარჯვება მიულოცა. მომდევნო წელს, მინსკში, საკავშირო პირველობაზე, ესტატე ფინალში შეხვდა სამბოს ფუძემდებლის ალექსანდრე ხარლამპიევის მოწაფეს, უაღრესად ტექნიკურ მოჭიდავეს, ილია დიტიშევს. იმის გამო, რომ ესტატე მას დიდი უპირატესობით უგებდა, მოწინააღმდეგემ ყასიდად ფეხი აიტკივა და კულისებს შეაფარა თავი. გამარჯვებულად ესტატე გამოაცხადეს, მაგრამ იგი უარზე იყო — ასეთი გამარჯვება არ მინდაო.

...ქართული ჭიდაობის ისტორიაში ესტატემ დიდი კვალი დატოვა. მან 40 წლის ასაკში დაანება თავი ჭიდაობას. ამ ხნის განმავლობაში რამდენიმეჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი როგორც თავისუფალ ჭიდაობაში, ისე სამბოში. სამწუხაროდ, 1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიადაზე ესტატემ ავადმყოფობის გამო მონაწილეობა ვერ მიიღო. იგი 10 წელი იყო საბჭოთა კავშირის ნაკრებში. აღსანიშნავია, რომ ამ წლებში ქვეყნის ნაკრების სახელით კიდევ ორი მცხეთელი, სანდრო კანდელაკის შვილი ოთარი და ნიკო მუზაშვილი გამოდიოდა. ისინი განუყრელი მეგობრები იყვნენ.

აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ ესტატე სპორტსაზოგადოება „დინამოში“ მუშაობდა მწვრთნელად.

მშობლიურ სოფელ სხალტბაში (მცხეთის რაიონი) ხშირად მართავდა შეჯიბრებებს — თანასოფლელებს ჭიდაობის სიყვარულს უნერგავდა.

ესტატე ქარქუსაშვილი ტრაგიკულმა შემთხვევამ 47 წლის ასაკში იმსხვერპლა. დღეს თბილისში, ვაზისუბანში მისი სახელობის ჭიდაობის სკოლაა გახსნილი. ვინ იცის, იქნებ ამ სკოლის რომელიმე მოსწავლემ საქართველოს ესტატესავით გაუთქვას სახელი...

ამასობაში ჭიდაობაც დამთავრდა.

ესტატე ქარქუსაშვილის სახელობის მთავარი პრიზი — ყოჩი, თბილისელ სპორტის ოსტატობის კანდიდატს ზურაბ მიქაძეს გადასცეს. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ზაზა ზვიადაურმა, ლევან სადუნაშვილმა (ორივე თბილისი), ზურაბ გვრიტიშვილმა (წილკანი), სპარტაკ პოპოვმა (თბილისი), გია ხუბაშვილმა (წეროვანი) და თამაზ ციციშვილმა (წილკანი).

ზურნა-დოლის ხმა მიწყდა. მოჭიდავეებმა ნახვრხიანი ჩოხები დაიბერტყეს. ხალხიც ნელ-ნელა დაიშალა. ამ დღეს კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი — ამიერიდან ესტატე ქარქუსაშვილის სახელობის პრიზის გათამაშება ქართულ ჭიდაობაში ყოველწლიურად გაიმართება.





**ჯემალ კახრაძე.**

**ავტორის ფოტოები.**

# UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების პირველი წრის შეხვედრები საბჭოთა გუნდებმა დიდი წარმატებით განვლეს — ექსივე ჩვენი გუნდი გათამაშების მეორე ეტაპზე გავიდა. ამ მაჩვენებლით საბჭოთა კლუბებმა უეფა-ს ცხრილში კოეფიციენტის მეტად მაღალი ქულები დააგროვეს — 3,333. თუ ამ ციფრს ანალოგიური ტურნირების წინა შეჯიბრების შედეგებს შევადარებთ, აშკარა პროგრესი შესამჩნევია: 1988-1989 წლების მთელს გათამაშებაში ჩვენი კლუბები საერთოდ 2.666 ქულით დაკმაყოფილდნენ...

მართალია, ბევრი მიმომხილველი ხაზს უსვამს, რომ მიმდინარე გათამაშების სტარტზე ჩვენს კლუბებს შედარებით სუსტი მეტოქეები შეხვდნენ, მაგრამ ფაქტი ფაქტია: დანაკლისი ჩვენ არა გვქონია. მაგრამ დაიწყო II ეტაპი, აქ კი მეტოქეები გაცილებით უფრო ძლიერი გვყავდა და პირველმა მარცხიანმა შედეგებმაც მაშინვე იჩინა თავი: მოსკოვის ტორპედოელებმა თასების მფლობელთა თასზე საკუთარ მინდორზე მხოლოდ ფრეს მიაღწიეს შვეიცარიის „გრასჰოპერსთან“, უეფა-ს თასზე ვილნიუსის „ჟალგირისმა“ დიდი ანგარიშით წააგო იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდასთან“, ლენინგრადის „ზენიტი“ თავის მინდორზე დამარცხდა გფრ-ის „შტუტგარტთან“, მოსკოვის სპარტაკელებმა წააგეს „კიოლნთან“ (გფრ) და ყველა ეს შედეგი ისეთია, რომ საპასუხო მატჩებისთვის ოპტიმიზმის საფუძველს ვერ ქმნის. განმეორებით თამაშებს იმედიანად შეიძლება უყურონ მხოლოდ კიევის დინამოელებმა და დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა“.

ფეხბურთში მუდამ რეალისტები უნდა ვიყოთ, ამიტომაც სუსტ მეტოქეებთან მოპოვებულმა წარმატებებმა მოჭარბებული ემოციები არ უნდა გამოიწვიოს. დამაფიქრებელია ისიც, რომ საბჭოთა ფეხბურთელები ევროპის საკლუბო ტურნირების უაღრესად საპასუხისმგებლო მატჩებში, როგორც წესი, აშკარად თავშეუკავებლად, მოურიდებლად და გამომწვევად თამაშობენ, რის გამოც გაფრთხილებებსაც ხშირად იმსახურებენ და მინდვრიდანაც იდევნებიან. სწორედ ამიტომ [illegible] რომ II ტურის შეხვედრებში ვერ ითამაშეს სპარტაკელმა ვ. პასულკომ, კიეველმა ო. პროტასოვმა, დნეპროპეტროვსკელმა ვ. ტიშჩენკომ. ამას დაემატა ახლანდელ მატჩებში მიღებული გაფრთხილებებიც. მართალია, საკლუბო ტურნირებში დაშვებული დარღვევებისას დისკვალიფიკაცია მხოლოდ ამ შეჯიბრებათა მატჩებს გულისხმობს და არც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებზე, არც საკავშირო პირველობის შეხვედრებზე არ ვრცელდება, მაგრამ უკვე ის, რომ ძირითადი მოთამაშეები იძულებული არიან გამოტოვონ ევროპის თასების მნიშვნელოვანი შეხვედრები, თავისთავად, მძიმე სასჯელია.

სტატისტიკის თვალსაზრისით განვიხილოთ II ტურის პირველი შეხვედრები.

ჩემპიონთა თასზე „დნეპრმა“ თავის მინდორზე ანგარიშით 2:0 დაამარცხა ავსტრიის ქალაქ ინსბრუკის „ტიროლი“, ბურთები გაიტანეს იუდინმა და სონმა, გააფრთხილეს დნეპროპეტროვსკელი იაროვენკო.

თასების მფლობელთა თასზე მოსკოვის ტორპედოელებმა ავტოქარხნის სტადიონზე ფრედ ითამაშეს ციურიხის „გრასჰოპერსთან“ — 1:1, მოსკოველთაგან ბურთი გაიტანა ი. სავიჩევმა.

უეფა-ს თასზე ყურადღების ცენტრში, უდავოდ, მოსკოვის სპარტაკელთა მატჩი იყო ქალაქ კიოლნში, გფრ-ის ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდთან. საინტერესოა, რომ მოსკოვის „სპარტაკი“ ევროპის საკლუბო ტურნირებში პირველად არ ხვდება „კიოლნს“. 1975 წელს უეფა-ს თასზე სპარტაკელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0 და 2:0, 1984 წელს სპარტაკელებმა გვიან შემოდგომით თბილისში მიიღეს „კიოლნი“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0, საპასუხო მატჩი კი მეტოქის მინდორზე წააგეს — 0:2. ამჯერად კიოლნში სპარტაკელები დაწინაურდნენ, ბურთი 30-ე წუთზე გაიტანა ჩერენკოვმა, რასაც მასპინძლებმა 3 ბურთით უპასუხეს. გააფრთხილეს სპარტაკელი ივანოვი.

ლენინგრადის „ზენიტმა“ ვერაფერი გააწყო ძლიერ მეტოქესთან — გფრ-ის „შტუტგარტთან“ და შინ წააგო ანგარიშით 0:1, თანაც, გაფრთხილება დაიმსახურა დამცველმა აფანასიევმა. ვილნიუსის „ჟალგირისი“ ბელგრადში ანგარიშით 1:4 დამარცხდა „ცრვენა ზვეზდასთან“ (ერთადერთი საპასუხო ბურთი ივანაუსკასმა გაიტანა უკვე მაშინ, როცა ანგარიში იყო 0:4). ჩვენი ფეხბურთელი ვერც ამ მატჩში გადაურჩა გაფრთხილებას, ყვითელი ბარათი დაიმსახურა ივანაუსკასმა. და, ბოლოს, კიევის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე ხსნის არავითარი შანსი არ დაუტოვეს ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ოსტრავის „ბანიკს“ — 3:0. ბურთები გაიტანეს მიხაილიჩენკომ, ბესონოვმა და ლიტოვჩენკომ.

აი, ამგვარი არასახარბიელო ბალანსით ვხვდებით მეორე წრის საპასუხო მატჩებს, რომლებიც 1 ნოემბერს გაიმართება. ცხადია, დანაკლისი აუცილებლად გვექნება.

განვლილ ტურში, უდავოდ, საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო მადრიდის „რეალისა“ და იტალიის „მილანის“ შეხვედრა მილანში. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ მეტოქეებმა უმაღლესი კლასის ფეხბურთი აჩვენეს, უკვე მე-13 წუთისთვის მასპინძლები წინ იყვნენ: ანგარიში გახსნა რაიკარდმა, ხოლო შემდეგ მისმა თანაგუნდელმა, ასევე ჰოლანდიელმა ვან ბასტენმა ზუსტად გამოიყენა პენალტი. სხვათა შორის, დასავლეთგერმანელი არბიტრის შმიდჰუბერის მიერ დანიშნულმა ამ 11-მეტრიანმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ესპანელები ამტკიცებენ, რომ წესის დარღვევა მოხდა საჯარიმო მოედნის ფარგლებს გარეთ. ასეა თუ ისე, „მილანმა“ ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა და საპასუხო შეხვედრის წინ საკმაოდ პერსპექტიული მდგომარეობა შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ „მილანის“ შემადგენლობაში ამ დღეს არ გამოდიოდა ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი გულიტი, ხოლო „რეალს“ აკლდა ძლიერი თავდამსხმელი ბუტრაგენიო.

ჩემპიონთა თასის მატჩებიდან აღსანიშნავია ბუქარესტის „სტიაუას“ წარმატება საკუთარ მინდორზე ჰოლანდიის „ეინდჰოვენთან“ შეხვედრაში, თუმცა, თვით ანგარიში 1:0 თავისთავად საბოლოო წარმატების მხოლოდ მცირე გარანტიაა.

თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში ცენტრალური იყო ბრიუსელის „ანდერლეჰტის“ შეხვედრა ესპანეთის „ბარსელონასთან“ საკუთარ მინდორზე. „ბარსელონამ“ ვერ გაუძლო მასპინძელთა იერიშებს და დამარცხდა — 0:2. მეტად დაძაბული გამოდგა დორტმუნდის (გფრ) „ბორუსიას“ შეხვედრა იტალიის „სამპდორიასთან“, „ბორუსიამ“ მხოლოდ ფრეს მიაღწია — 1:1.

უეფა-ს თასზე საყოველთაო გაკვირვება გამოიწვია ბელგიის „ანტვერპენის“ დიდი ანგარიშით გამარჯვებამ შოტლანდიის „დანდი იუნაიტედთან“ — 4:0, აგრეთვე, ბელგიის „ბრიუგეს“ მარცხმა საკუთარ მინდორზე ავსტრიის „რაპიდთან“ — 1:2.

სამივე ტურნირის საპასუხო შეხვედრები 1 ნოემბერს გაიმართება.

## გთავაზობთ მეორე ეტაპის პირველი ტურის ტექნიკურ შედეგებს

### ჩემპიონთა თასი

**მერვედფინალი**

„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი, სსრკ) — „ტიროლი“ (ავსტრია) 2:0.

„მილანი“ (იტალია) — „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) 2:0

„ბაიერნი“ (გფრ) — „17 ნენტორი“ (ალბანეთი) 3:1

„ჰონვედი“ (უნგრეთი) — „ბენფიკა“ (პორტუგალია) 0:2

„მარსელი“ (საფრანგეთი) — აეკ (საბერძნეთი) 2:0

„სპარტა“ (ჩეხოსლოვაკია) — „სრედეცი“ (ბულგარეთი) 2:2

„სტიაუა“ (რუმინეთი) — „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) 1:0

„მალმიო“ (შვეცია) — „მეჰელენი“ (ბელგია) 0:0

### თასების მფლობელთა თასი

**მერვედფინალი**

„ტორპედო“ (მოსკოვი, სსრკ) — „გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) 1:1

„ანდერლეხტი“ (ბელგია) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) 2:0

„ადმირა ვაკერი“ (ავსტრია) — „ფერენცვაროში“ (უნგრეთი) 1:0

„ბორუსია“ (დორტმუნდი, გფრ) — „სამპდორია“ (იტალია) 1:1

„პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი) — „დინამო“ (რუმინეთი) 0:2

„გრონინგენი“ (ჰოლანდია) — „პარტიზანი“ (იუგოსლავია) 4:3

„მონაკო“ (საფრანგეთი) — „დინამო“ (ბერლინი, გდრ) 0:0

„ვალიადოლიდი“ (ესპანეთი) — „დიორგარდენი“ (შვეცია) 2:0

### უეფა-ს თასი

**მეთექვსმეტედფინალი**

„კიოლნი“ (გფრ) — „სპარტაკი“ (მოსკოვი, სსრკ) 3:1

„დინამო“ (კიევი, სსრკ) „ბანიკი“ (ჩეხოსლოვაკია) 3:0

„ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი, სსრკ) 4:1

„ზენიტი“ (ლენინგრადი, სსრკ) — „შტუტგარტი“ (გფრ) 0:1

„ვეტინგენი“ (შვეიცარია) — „ნაპოლი“ (იტალია) 0:0

„ანტვერპენი“ (ბელგია) — „დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია) 4:0

„პორტო“ (პორტუგალია) — „ვალენსია“ (ესპანეთი) 3:1

„ფიორენტინა“ (იტალია) — „სოშო“ (საფრანგეთი) 0:0

„ჰიბერნიანი“ (შოტლანდია) — „ლიეჟი“ (ბელგია) 0:0

„პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი) — „იუვენტუსი“ (იტალია) 0:1

„ბრიუგე“ (ბელგია) — „რაპიდი“ (ავსტრია) 1:2

„სარაგოსა“ (ესპანეთი) — „ჰამბურგი“ (გფრ) 1:0

„როვანიემი“ (ფინეთი) — „ოსერი“ (საფრანგეთი) 0:5

„ვიენა“ (ავსტრია) — „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) 2:2

„ვერდერი“ (გფრ) — „აუსტრია“ (ავსტრია) 5:0

„სიონი“ (შვეიცარია) — „კარლ-მარქს-შტადტი“ (გდრ).

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

სსრ კავშირის 52-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩში ვოლგოგრადის „როტორსა“ და ოდესის „ჩერნომორეცს“ შორის (2:1) სტუმართაგან ბურთები გაიტანეს სტოგოვმა და ნიკიტინმა, ხოლო ოდესელთაგან — გეცკომ.

დუბლიორთა შეხვედრაც „როტორის“ გამარჯვებით დამთავრდა — 1:0.

იაროსლავლის „შინიკისა“ და ბათუმის „დინამოს“ (I ლიგა) შეხვედრაში, რომელიც აღინიშნა ფრედ (0:0), „შინიკის“ ფეხბურთელმა მაკაროვმა 47-ე წუთზე ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი. გააფრთხილეს დინამოელი ათუაშვილი.

I ლიგის საუკეთესო ბომბარდირთა შორის კვლავინდებურად წინაა ქუთაისის ტორპედოელი მ. მეგრელაძე — 26 გოლი. 24-24 ბურთი გაიტანეს ა. გაიდაშმა („ტავრია“) და ვ. მასალიტინმა (ცსკა), 23-23 — მ. ჟორდანიამ („გურია“) და ს. ოსიპოვმა (სტავროპოლის „დინამო“).

## მაყურებელმა იმატა

შვეიცარიის ქალაქ ბერნში გამოქვეყნდა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების 1988-1989 წლების გათამაშებათა დასწრების მონაცემები.

ჩემპიონთა თასზე, თასების მფლობელთა თასზე და უეფა-ს თასზე თამაშებს სულ დაესწრო 5,2 მილიონი კაცი, რაც 187,098-ით მეტია, ვიდრე წინა გათამაშებაში. მაყურებელთა დასწრების მხრივ კლუბებიდან პირველ ადგილზეა იტალიის „ნაპოლი“, რომლის თამაშებზე 400 ათასი მაყურებელი მოვიდა.

ყურადღებას იპყრობს ის, რომ მაყურებელთა რაოდენობის ასეთი ზრდისას დაიკლო თასების მფლობელთა თასის მატჩებზე დამსწრეთა რიცხვმა. ეს ციფრი 887.748-ით ნაკლებია, ვიდრე ადრე.

გამოხმაურება წერილზე: „საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?“

# ნუ დავკარგავთ რეალიზმის გრძნობას

გაზეთ „ლელოში“ თვალყურს ვადევნებ დისკუსიას თემაზე „საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?“ ავტორთა ნაწილი მოითხოვს საქართველოს დამოუკიდებელი ჩემპიონატის ჩატარებას ფეხბურთში, მეორე ნაწილს კი ვერ წარმოუდგენია ქართული ფეხბურთის მაღალი კლასის შენარჩუნება ჩვენი გუნდების მონაწილეობის გარეშე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რანგის ჩემპიონატებში.

ისმება კითხვა, რა არის ის ძირითადი მოტივი, რომლის მიზეზითაც ზოგიერთი ავტორი მოგვიწოდებს უარი ვთქვათ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობაზე? ამ მოტივის, უფრო სწორად, მოტივების დედააზრი შემდეგშია: თბილისის „დინამო“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში განიცდის დისკრიმინაციას, რაც გამოიხატება არაობიექტურ მსაჯობაში, ქართველი ფეხბურთელების მიმართ უხეში თამაშით და შეურაცხმყოფელი წამოძახილებით მეტოქეთა სტადიონებზე მატჩების დროს.

ვისაც ობიექტურობის გრძნობა არ დაუკარგავს და უცხოეთის სპორტულ პრესას კითხულობს, დაასახელოს საზღვარგარეთის ერთი ქვეყანა მაინც, რომლის საფეხბურთო ჩემპიონატზე ანალოგიური გამოვლინებები არ ხდებოდეს. რად გვინდა უცხოეთის პრესა, განა საქართველოს ჩემპიონატში ანალოგიური მიზეზების გამო არ მომხდარა სასკანდალო სიტუაციები? ანდა ავიღოთ მაგალითი თბილისის „დინამოს“ საზღვარგარეთ გამოსვლის პრაქტიკიდან. ესპანელი ფეხბურთელი არ იყო, რომ ჩვენს სასახელო ფეხბურთელს დ. ყიფიანს ისეთი ტრავმა მიაყენა, რომმან მას შემდეგ ველარ შეძლო თავისი სათამაშო ფორმის აღდგენა? ანდა გავიხსენოთ ჩვენი გუნდის მიმართ არაობიექტური მსაჯობის მაგალითები ევროპის საფეხბურთო ტურნირებში. ესე იგი, გამოდის, რომ ზემომოყვანილი მოვლენები დამახასიათებელი ყოფილა საერთოდ მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატებისთვის და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიც გამონაკლისს არ წარმოადგენს.

ვფიქრობ, ასეთი წერილების ავტორები ან ნაკლებად ერკვევიან ფეხბურთის ნიუანსებში, ან შიშველი პატრიოტიზმის გრძნობებს აჰყოლიან. განა აზრი აქვს საქართველოს დამოუკიდებელი ჩემპიონატის ჩატარებას, თუ იგი ვნებას მოუტანს ქართულ ფეხბურთს და დასწევს მის კლასს, რასაც სამართლიანად აღნიშნავენ ცალკეული ავტორები.

თუ გვინდა, რომ მომავალში ასრულდეს ყველა ჭეშმარიტი პატრიოტის ოცნება და ვიხილოთ საქართველოს დამოუკიდებელი საფეხბურთო ჩემპიონატი მაღალი კლასის გუნდების მონაწილეობით, პირველ ყოვლისა საჭიროა საქართველოს ჩემპიონატის დონის საერთო ამაღლება.

**ვალერი ძოწენიძე,**
პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი.

# გაუმარჯოს საქართველოს ჩემპიონატს ფეხბურთში!

სსრკ ჩემპიონატის გამართვას ჩვენ არავინ გვეკითხება. ხოლო იმაზე, საჭიროა თუ არა ქართული საფეხბურთო კლუბების მონაწილეობა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში, სანამ ჩემს შეხედულებებს მოგახსენებდეთ, მინდა ზოგიერთ გულშემატკივარს შევედავო. ოპონენტები დამოუკიდებელი ჩემპიონატის ჩატარებას უარყოფენ იმ მოსაზრებით, თითქოს საქართველოს არ შეუძლია გახდეს უეფა-ს ან ფიფა-ს წევრი, რადგან შედის სსრკ-ს შემადგენლობაში, ხოლო ერთი და იგივე ქვეყნიდან ორი ფედერაციის არსებობა ამ ასოციაციებში შეუძლებელია. გავიხსენოთ დიდი ბრიტანეთის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატი. უელსი, ირლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია, ისინი მონაწილეობენ ინგლისის ჩემპიონატში და ამავე დროს მათთვის კარი ღიაა როგორც ევროპულ ტურნირებში, ისე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ თუ ფინალურ თამაშებში. მაგრამ პირადად მე დიდი ბრიტანეთის ქვეყნების საფეხბურთო პრაქტიკის სტატუსი ჩვენთვის მიუღებლად მიმაჩნია. რატომ? ქართული ფეხბურთი ქართული აღარ არის, დაკარგა თავისებურება. თუ გვსურს ქართულმა ფეხბურთმა შეინარჩუნოს თავის სახე, აუცილებელია ეროვნული ჩემპიონატი.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ბევრი ბრწყინვალე ვარსკვლავი ქართული ფეხბურთისა ვერ იღებდა მონაწილეობას მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში იმ მოტივით, რომ მათი თამაშის მანერა არ შეესაბამებოდა საბჭოთა კავშირის ნაკრების თამაშის სტილს. გაიხსენეთ მ. მესხი — ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში, დ. ყიფიანი — ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატში, მ. მაჩაიძე, ვ. გუცაევი და სხვები. ეს უმაღლესი კლასის ოსტატები იშვიათად გამოდიოდნენ ნაკრების შემადგენლობაში ზემოთ მოყვანილი მიზეზების გამო.

ერთ-ერთი ოპონენტი წერს: „აბა წარმოიდგინეთ, თითოეული ფეხბურთელის ოცნებაა, რომ მოხვდეს გუნდში, რომელიც მონაწილეობს სსრკ-ს ჩემპიონატში. ამ ოცნებას რომ წაართმევ ფეხბურთელს, მისგან უმაღლესი ლიგის ფეხბურთელი აღარ დადგება. ეს საეჭვო არ უნდა იყოს. ანდა წარმოიდგინეთ თბილისის „დინამო“ საქართველოს პირველობაზე. ვინ დაესწრება ასეთ მატჩებს? ალბათ ბავშვები და თითო-ოროლა ახალგაზრდა“. კატეგორიულად არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას. თითოეული ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელის ოცნებაა მოხვდეს თბილისის „დინამოში“. მაგრამ ზოგი ამას ვერ ახერხებს, მავანთა და მავანთა მიზეზის გამო (თავის დროზე მეც ვთამაშობდი ფეხბურთს, ჩემშიან დიდი ვერაფერი ფეხბურთელი დადგა, მაგრამ ვიცნობ ბევრ ნიჭიერ ადამიანს, რომლებიც ვერ მოხვდნენ თბილისის „დინამოში“, ხოლო უფრო დაბალი ლიგის გუნდებში თამაში, მათი ფსიქოლოგიისთვის ძნელი შესაგუებელი იყო. ისინი საერთოდ დაიკარგნენ ქართული ფეხბურთის არიალიდან). საქართველოს ჩემპიონატი, სადაც თბილისის „დინამოს“ გარდა აუცილებლად ჩამოყალიბდებიან მაღალი კლასის გუნდები, უკვე პრესტიჟული იქნება ფეხბურთელისათვის.

ბუნებრივია, არც ახალგაზრდებს განუვითარდებათ არასრულფასოვნების კომპლექსი და საქართველოს ნაკრები ბევრად უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე 1981 წ. თბილისის „დინამო“.

ასეთ ეროვნულ ნაკრებს ნამდვილად შეეძლება ქართული ფეხბურთის პრესტიჟის დაცვა. თუ მოვინდომებთ, ყველაფერს შევძლებთ. ეს ჭეშმარიტება ქართულ სპორტში დაამტკიცეს მორაგბეებმა. გაუმარჯოთ მათ! იმედი მაქვს, მორაგბეებს სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლებიც მიბაძავენ.

ერთი უხუცესი გულშემატკივარი, ომისა და შრომის ვეტერანი, თავის წერილს შემდეგი სიტყვებით ასრულებს: „ისინი, ვინც საეჭვოდ ხდიან საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატებში ჩვენი ქართული გუნდების მონაწილეობას, მათ ჩვენ ვერ ჩავთვლით ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებად“. უკაცრავად, მაგრამ ვისაც ამ საკითხში განსხვავებული აზრი გვაქვს, შეურაცხყოფილად ვგრძნობთ თავს ასეთი განცხადებით.

ქართული ფეხბურთი უნდა დაადგეს დამოუკიდებლობის გზას.

**კახა ბროკიშვილი,**
თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის

პირველობა ფეხბურთში

II ლიგა

**გაიმართა** II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ბოლო 42-ე ტურის შეხვედრები: „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) — „გოიაზანი“ (ყაზახი) 1:1, „ზვეზდა“ (გოროდიშჩე) — „შევარდენი“ (თბილისი) 2:0, „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:0, „ყარაბაღი“ (აგდამი) — „დილა“ (გორი) 2:0, „ტორპედო“ (ვოლჟსკი) — „კოლხეთი“ (ხობი) 4:1, „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი) — „დინამო“ (სოხუმი) 1:2, „კოლხეთი“ (ფოთი) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 3:0, „მერცხალი“ (ოზურგეთი) — „ხაზარი“ (სუმგაითი) 3:0, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ლოკომოტივი“ (მინ. წყლები) 2:1, ომც (თბილისი) — „ნარტი“ (ჩერკესკი) 1:4, „დინამო“ (მახაჩყალა) „ტერმისტი“ (ბაქო) 3:0.

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 21 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ ს. | 40 | 28 | 7 | 5 | 87-21 | 63 |
| „ტექსტილ.“ | 42 | 24 | 9 | 9 | 83-32 | 57 |
| „კოლხ.“ ფ. | 40 | 24 | 8 | 8 | 67-33 | 56 |
| „ლოკომ.“ ს. | 40 | 22 | 7 | 11 | 68-46 | 51 |
| „კოლხ.“ ხ. | 41 | 21 | 9 | 11 | 64-50 | 51 |
| „ნარტი“ | 41 | 23 | 4 | 14 | 71-44 | 50 |
| „დილა“ | 41 | 22 | 6 | 13 | 88-47 | 50 |
| „გოიაზანი“ | 42 | 22 | 4 | 16 | 63-49 | 48 |
| „ქიაფაზი“ | 42 | 21 | 6 | 15 | 70-54 | 48 |
| „ზვეზდა“ | 42 | 19 | 5 | 18 | 66-69 | 43 |
| „ყარაბაღი“ | 42 | 18 | 7 | 17 | 51-74 | 43 |
| „ხაზარი“ ს. | 42 | 16 | 9 | 17 | 62-62 | 41 |
| „მერცხალი“ | 40 | 17 | 6 | 17 | 68-55 | 40 |
| „მეტალ.“ | 41 | 15 | 10 | 16 | 66-67 | 40 |
| „ტორპედო“ | 40 | 16 | 7 | 17 | 60-37 | 39 |
| „ლოკ. მ. წყ.“ | 42 | 14 | 8 | 20 | 50-63 | 36 |
| „დინამო“ მ. | 42 | 11 | 13 | 18 | 56-56 | 35 |
| „ხაზარი“ ლ. | 42 | 14 | 4 | 24 | 27-75 | 32 |
| „ატომმაში“ | 41 | 12 | 5 | 24 | 54-81 | 29 |
| „შევარდ.“ | 42 | 11 | 6 | 25 | 48-79 | 28 |
| „ტერმისტი“ | 42 | 7 | 5 | 30 | 31-95 | 19 |
| ომც | 41 | 4 | 1 | 36 | 42-134 | 9 |

დასასრულს მიუახლოვდა II ლიგის IX ზონაში მოასპარეზე ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრები. როგორც ცხრილიდან ჩანს, ზოგიერთ კოლექტივს ჩასატარებელი დარჩა გამოტოვებული მატჩები, ეს შეხვედრები 22 და 25 ოქტომბერს გაიმართება.

მიუხედავად გამოტოვებული მატჩებისა, II ლიგის IX ზონაში გაირკვა გამარჯვებულის ვინაობა. ეს გახლავთ სოხუმის „დინამო“, რომელმაც საუკეთესოდ ჩაატარა მთელი სეზონი და დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სოხუმელები გადასასვლელ ტურნირშიც იტყვიან თავის სათქმელს, მათი სავარაუდო მეტოქეები იქნებიან VII და VIII ზონებში გამარჯვებული გუნდები: პავლოდარის „ტრაქტორი“ და ფერღანის „ნეფტიანიკი“.



იტალია-90

მსოფლიო ჩემპიონატი

**აზია**

**როგორც** ვიუწყებოდით, სინგაპურში დაიწყო აზიის ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების ფინალური ტურნირი, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მოსახვედრად იბრძვის 6 გუნდი.

ზონის ფინალურ ტურნირში ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| არ. გაერ. რესპ. | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 3 |
| სამხ. კორეა | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 3 |
| ჩინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 2 |
| კატარი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-1 | 1 |
| კორ. დემ. რ. | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| საუდ. არაბ. | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |

**აფრიკა**

კონტინენტზე დაიწყო ფინალური მატჩები იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის საგზურებისთვის. გადამწყვეტ ეტაპზე იბრძვიან ალჟირი-ეგვიპტე, კამერუნი-ტუნისი. ამ შეხვედრებში გამარჯვებული ორი გუნდი უშუალოდ იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლებას მიიღებს. მეტოქეები ერთმანეთს ხვდებიან შინ და სტუმრად.

ალჟირელმა ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ეგვიპტის გუნდი. ეგვიპტელებმა მეტოქის მინდორზე ფრეს მიაღწიეს (0:0) და საპასუხო შეხვედრისთვის წარმატების გარკვეული შანსი შეიქმნეს.

ტუნისელები მეტოქის მინდორზე შეხვდნენ კამერუნის ნაკრებს. უშედეგოდ დამთავრებული პირველი ტაიმის შემდეგ კამერუნელებმა გააძლიერეს შეტევა, მფედემ და კუნდემ ორი „მშრალი“ ბურთი გაიტანეს სტუმრების კარში.

საინტერესოა, რომ კამერუნისა და ტუნისის გუნდების შეხვედრა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ „რისკის უმაღლესი ხარისხის“ კატეგორიას მიაკუთვნა, რაც საგანგებო, გაძლიერებულ კონტროლს მოითხოვს, მაგრამ, როგორც იტყობინებიან, არც სათამაშო მინდორზე, არც ტრიბუნებზე რაიმე ინციდენტი არ მომხდარა.

საპასუხო შეხვედრები გაიმართება ნოემბერში.

**კონკაკაფ-ი**

ჩრდილოეთ, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების ზონაში ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი გვატემალაში შეხვდა იქაურ ნაკრებს და ფრედ დაამთავრა შეხვედრა — 0:0.

იტალიის ფინალური ტურნირის საგზურის მოპოვების შანსი ამ ზონაში, ალბათ, 19 ნოემბერს გაირკვევა, როცა ერთმანეთს შეხვდებიან აშშ-ტრინიდადი და ტობაგო. ამერიკელები სტუმრად ითამაშებენ.

ფინალური ტურნირის ერთი საგზური ზონაში უკვე მოიპოვეს კოსტა-რიკის ფეხბურთელებმა (11 ქულა). ტრინიდადისა და ტობაგოს გუნდს 9-9 ქულა აქვთ, ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს — 8. შემდეგ მოდიან გვატემალისა (3 ქულა) და სალვადორის (1 ქულა) გუნდები.

# „იმედს“ ლიუბომირა ჰქვია

**ევროპის** მოზარდ (14 წლამდე) ჩოგბურთელთა პირველობაში, რომელიც სოფიის „აკადემიკოსის“ სტადიონის კორტებზე გაიმართა, 24 ქვეყნის 46 ჭაბუკი და 42 გოგონა იბრძოდა გამარჯვებისთვის. სპორტის ამ ულამაზესი სახეობის ქომაგებმა სარბიელზე იხილეს ძველი სამყაროს „იმედი“. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ბულგარელთა ახალგაზრდა „ვარსკვლავმა“ მაგდალენა მალეევამ (სახელგანთქმული ჩოგბურთელი დების უმცროსთაგანი) პრაღის მსგავს ტურნირში (16 წლიანებში) არჩია გამოსვლა, მისი გამარჯვებებით განებივრებული მასპინძლები სასოწარკვეთით ამბობდნენ: „ნუთუ ამ ასაკში, და ისიც ჩვენს თვალწინ, ბულგარელები უმედლოდ დარჩებიან?“

ერთადერთი, ასეთმა პანიკამ რომ არ მოიცვა, ლუბომირა ბაჩევა იყო. იგი სოფიიდან ათასხუთასი კილომეტრის დაშორებით თავისი ძმის — ტეოდორის (მწვრთნელია გფრში) ხელმძღვანელობით გულმოდგინედ ემზადებოდა ორთაბრძოლებისათვის. გოგონა ასჯერ, ათასჯერ იმეორებდა დარტყმებს და თანდათან ხვეწდა მათ. საბრძოლოდ სრულ მზადყოფნაში წარსდგა სოფიის კორტებზე. იგი მთიდან წამოსული ზვავივით მოევლინა მეტოქეებს და გზიდან ჩამოიცილა გამარჯვების პრეტენდენტები. ექვს შეხვედრაში ერთადერთი გეიმი დათმო და გაიმარჯვა დიდი უპირატესობით — გეიმების შეფარდება — 76:30.

ასეთი ტრიუმფი ბევრისთვის მოულოდნელი იყო, რადგან შარშან ლისაბონის ევროპის ჩემპიონატის პირველ წრეში დამარცხების შემდეგ ნუგეშის ტურნირში გამარჯვებითღა დაკმაყოფილდა. მარცხმა ბაჩევა უფრო წააქეზა და იგი თავდაუზოგავად შეუდგა ვარჯიშს.

„მადლობელი ვარ ტეოდორის, — თქვა ლიუბომირამ. — კორტზე იგი ძმა კი არა, მტერია ჩემი. სულ იმას ცდილობს, მთელი ძალა გამომწუროს. თავდაპირველად ვბრაზობდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ასე ყოფილა საჭირო სპორტული მწვერვალების მისაღწევად“...

ახლა ნიჭიერი გოგონა უკვე სულ ახლოსაა დიდ ჩოგბურთთან და მისგან ახალ გამარჯვებებს ელიან ქომაგები.





**სურათებზე:** ასეთია ლიუბომირა ბაჩევა კორტზე და ცხოვრებაში.

სოფია პრესის სააგენტო.

# ეძებენ ვერცხლის ბურთს

**მსგავსი** შემთხვევები მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ადრეც მომხდარა. გავიხსენოთ, თუნდაც, 1966 წელი, როდესაც ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ბოროტმოქმედებმა მოიპარეს ჩემპიონატის მთავარი პრიზი, გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს ოქროს თასი. საბედნიეროდ, მაშინ თასის ასავალ-დასავალს მალე მიაგნეს, თუმცა, „ნიკეს“ არც შემდგომში წყალობდა ბედი. მას შემდეგ, რაც ბრაზილიის ნაკრებმა მესამედ მოიპოვა მსოფლიოს უძლიერესი გუნდის ტიტული და სამუდამო მფლობელობაში დაისაკუთრა „ნიკე“, თასი კვლავ მოიპარეს. ამჯერად სამუდამოდ... ბოროტმოქმედებმა იგი გადაადნეს.

და, აი, სულ ცოტა ხნის წინ, 2 ოქტომბერს, იტალიაში. დღისით-მზისით გაიტაცეს მომავალი ჩემპიონატის საუკეთესო მეკარისთვის დამზადებული პრიზი — სიმბოლური ვერცხლის ბურთი. პრიზი გააკეთა იუველირმა ანჯელო აუჯერომ. სიმბოლური ბურთი ნამდვილის ზუსტი ასლია, იგი შედგება კვარცისა და შავი ქვის 32 უჯრედისგან, რომლებიც ვერცხლის კარკასზეა დამაგრებული. პრიზის წონაა 9 კილოგრამი, კომერციული ფასი — 150 მილიონი იტალიური ლირა.



როგორ მოხდა ყველაფერი? იმ დღეს ანჯელო აუჯეროს თავისი ქმნილება ტურინიდან შინ, პატარა ქალაქ ვილატო დი ვალსენერაში მიჰქონდა. გზაში მის მანქანას წამოეწია ნაცრისფერი „ლანჩა-დელტა“ და აიძულა გაჩერებულიყო. მანქანიდან გადმოვიდა ორი ახალგაზრდა და იარაღის მუქარით აიძულეს აუჯერო მიეცა მათთვის ძვირფასი ნივთი. ბოროტმოქმედები დაჯერებულად, პროფესიულად მოქმედებდნენ, და სახის დამალვასაც არ ცდილობდნენ. ძვირფას ნადავლს იუველირის პირადი ფული და მანქანის გასაღებიც მიაყოლეს. შეშინებული ანჯელო აუჯერო რამდენიმე საათის შემდეგ ნახა პოლიციამ.

— არც კი ვიცი, რას უპირებენ ბურთს, — განაცხადა იუველირმა. — მისი გაყიდვა ხომ ძალზე ძნელია. მე მათ მოვუწოდებ დამიკავშირდნენ მოსალაპარაკებლად.

ბოროტმოქმედები ამ განცხადებას ჯერ არ გამოხმაურებიან, მათი ძებნა კი გრძელდება.

# ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრიზები — ჟურნალისტებს

**ბონი.** გფრ-ის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა დააჯილდოვა დასავლეთგერმანიის ელექტრონული პრესის წარმომადგენლები სეულის თამაშებიდან მოწყობილი საუკეთესო რეპორტაჟებისათვის.

რადიორეპორტიორთათვის დაწესებული მთავარი პრიზი გადაეცა გიუნტერ მალეტცკოს აკადემიურ ნიჩბოსნობაში რვაადგილიანი ნავის გამარჯვების რეპორტაჟისთვის.

საუკეთესო სატელევიზიო რეპორტაჟად მიჩნეულია იორგ ვანტორის სიუჟეტი, რომელიც ასახავდა 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ფინალურ გაცურვას და ვერნერ შნაიდერის რეპორტაჟი საშუალო წონის მოკრივეთა მეოთხედფინალურ შეხვედრებში.

# სკანდალი ძიუდოს ფედერაციაში

**ძიუდოს** საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, არგენტინელი სარქის კალოღლიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა პოსტი, რომელიც 1987 წლიდან ეკავა. გადაწყვეტილება პრეზიდენტის გადადგომის თაობაზე მიიღო დირექტორთა საბჭომ მაიამიში (აშშ) რიგგარეშე სხდომაზე, რომელიც მოიწვიეს ფედერაციის ხაზინადარის ლუის ბაგენას მოთხოვნით. საქმე ის გახლდათ, რომ მან ვერაფრით ვერ შეძლო ანგარიშგებისთვის აუცილებელი დოკუმენტების შეგროვება. დირექტორთა კომიტეტის წევრებმა მაიამიში შეხვედრა გადაწყვიტეს იმის გამო, რომ სწორედ ამ ქალაქში ინახება ფედერაციის საბანკო ანგარიშები და ფინანსური ბალანსის დაჯამება ყველაზე იოლი სწორედ აქ იყო.

სხდომის პროცესში კალოღლიანმა გულის შეტევა მოიმიზეზა და რამდენიმე საათი დაჰყო საავადმყოფოში, იქიდან დაბრუნებულმა პრეზიდენტმა გაიგო თავისი მოხსნის ამბავი, რომელსაც მხარი ფედერაციის უკლებლივ ყველა წევრმა დაუჭირა. როგორც გაირკვა, ფედერაციის სალაროს აკლდა არც მეტი, არც ნაკლები 300 ათასი დოლარი.

პრეზიდენტის მოვალეობა დროებით დაევალა ახალზელანდიელ ლაური ჰარგრავს. იგი ამ პოსტზე იქნება ფედერაციის კონგრესის ოფიციალურ არჩევნებამდე. ბაგენამ კი შეცვალა ძველი ხაზინადარი, არგენტინელი რაულ როდრიგესი, რომელსაც წაუყენეს ოფიციალური ბრალდება ფედერაციის სალაროდან ფულის გატაცების გამო.

# ევროპის სუპერთასზე

**23 ნოემბერს** თასების თასის მფლობელი ესპანეთის „ბარსელონას“ ფეხბურთელთა გუნდი თავის მინდორზე მიიღებს ჩემპიონთა თასის მფლობელს იტალიის „მილანს“, მეტოქეთა მეორე შეხვედრა კი გაიმართება მილანში 7 დეკემბერს.

რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე.



ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

(ა. წერეთლის გამზირი № 2)

23 ოქტომბერი ● ფეხბურთი ● სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო“ (თბილისი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი)

დასაწყისი 19 საათზე

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 21, 22 და 23 ოქტომბერს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე), ხოლო ორგანიზაციებში — 23 ოქტომბერს.

ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა მატჩი შედგება 22 ოქტომბერს 18 საათზე.

უამინდობის შემთხვევაში თამაში გაიმართება გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე. დასაწყისი 16 საათზე.

„სპორტპროგნოზის“ მოყვარულებს!

**ორიოდე** დღის წინ „ლელოში“ გამოქვეყნდა ევროპის საფეხბურთო საკლუბო ტურნირების მეორე ტურის განმეორებით შეხვედრებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის პროგრამა.

ამასთან დაკავშირებით სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური საწარმო გაცნობებთ, რომ საქართველოში აღნიშნული ტირაჟისადმი დიდი ინტერესის გათვალისწინებით, მათთვის, ვინც ბილეთების „ბვ“ ნაწილები ჩაუშვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დაწესდა კიდევ ერთი წამახალისებელი პირობა: **ერთ ან რამდენიმე ბილეთში (50 რიგითი ნომრის ფარგლებში) 3000 მანეთის მოგების შემთხვევაში მოგებული თანხის მფლობელს უფლება ეძლევა ნაღდ ანგარიშზე რიგგარეშე შეიძინოს მსუბუქი ავტომანქანა „ვაზ-21063“.**

აქვე შეგახსენებთ, რომ სპეცტირაჟის ბილეთების მიღება მთავრდება 44-ე ტირაჟისთვის შევსებული ბილეთების მიღებასთან ერთად.

გისურვებთ წარმატებას!

„საქსპორტლოტო“

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: კოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10 524